# მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს

2020

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

# საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები

- ინოვაციური კანონმდებლობა მედიაციის შესახებ
  - სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება
  - შეიქმნა საქართველოს მედიატორთა ასოციაცია
- კანონი შშმ პირთა უფლებების შესახებ
  - შემუშავდება ერთიანი 15-წლიანი სამთავრობო სტრატეგია
  - შეიქმნება უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი
  - იუსტიციის სისტემის ადაპტირება
- გადახდისუუნარობის სფეროს მომწესრიგებელი ახალი კანონი
  - მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისათვის
  - გაკოტრების თავიდან აცილება
- „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ახალი პროექტი
  - კორპორატიული ურთიერთობების უკეთ მოწესრიგება
  - გაიზრდება კორპორატიული გამჭვირვალობა
- აღსრულების ახალი კოდექსი
  - სააღსრულებო პროცესის გამარტივება
  - აღსრულების პროცესში და მის მიღმა არსებული სერვისების გაუმჯობესება
  - ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნა

# უწყებათაშორისი საქმიანობა

- ტრეფიკინგი
  - მიუსაფარი ბავშვების საკითხები
- ნარკოვითარების მონიტორინგი
  - შეიქმნა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი - EMCDDA-სთან თანამშრომლობა
  - ევროსაბჭოს პომპიდუ ჯგუფში გაწევრიანება
- კორუფციასთან ბრძოლა
  - სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია
  - UNODC-სთან და GRECO-სთან თანამშრომლობა

- მიგრაცია
  - 2021-2030 წლების სტრატეგია
  - მიგრაციის ევროპულ ქსელში (EMN) საქართველოსთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭება
- წამების აკრძალვა
  - მსხვერპლთა უფლებების დაცვა
  - სარეაბილიტაციო პროგრამები

# საერთაშორისო ურთიერთობები

- ევროინტეგრაცია
  - უვიზო მიმოსვლა
  - ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის იმპლემენტაცია
- სახელმწიფო ანგარიშების მომზადება
- საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს პოზიციების წარმოდგენა
  - UNODC
  - Pompidou Group
  - EMCDDA
  - Human Rights Dialogue
  - Justice Freedom and Security Sub-committee

# სტრასბურგის სასამართლოს სტატისტიკა

- რეფორმები და სტატისტიკა:
  - 2004-2012: **5416** საჩივარი
  - 2013-2019: **732** საჩივარი
  - 2020 წლის 6 თვე: მხოლოდ **52** საჩივარი
- საჩივრების შინაარსი:
  - 2012 წლამდე:
    - სიცოცხლის ხელყოფა, წამება, ციხეში არასათანადო პირობები და მკურნალობა, უკანონო დაკავება, საკუთრების ხელყოფა, სამართლიანი სასამართლოს არარსებობა, ნარკოტიკების ჩადება, აქციების უკანონო დაშლა
  - 2013 წლიდან (მათ შორის, 2020 წელს):
    - ოჯახში ძალადობა, სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა, ადმინისტრაციული ჯარიმის კანონიერება.
    - არცერთი საჩივარი პენიტენციური სისტემიდან



# სახელმწიფო ინტერესების დაცვა საერთაშორისო სასამართლოებში

- 2008 წლის ომის საქმე სტრასბურგის სასამართლოში
  - გადაწყვეტილება გამოქვეყნდება 2021 წლის 21 იანვარს
  - ამ საქმის მოსაგებად საქართველომ წარადგინა 700-მდე მყარი მტკიცებულება და დოკუმენტი სამართლებრივ ანალიზთან ერთად
- დეპორტირებულების საქმე
  - მინისტრთა კომიტეტი განიხილავს ყველა სხდომაზე
  - 2020 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა შუალედური რეზოლუცია და რუსეთს მკაცრი გაფრთხილება მიეცა
  - პოზიციის დაფიქსირების ვადა 2021 წლის 1 თებერვალი
- ჰააგის სასამართლოს გამოძიება
  - გრძელდება აქტიური თანამშრომლობა რათა აღსრულდეს სამართალი დაზარალებულებისთვის

# პენიტენციური სისტემა

- უწყვეტი სამედიცინო მომსახურება
- განახლებული ავტოპარკი
- ესკორტის ოფიცრების ახალი კადრები - სასამართლო პროცესები აღარ იშლება
- თანამდებობრივი სარგო მოწესრიგდა და შეჩერდა კადრების გადინება
- 2020 წლის 1 მაისს ლიკვიდირებულ იქნა №9 პენიტენციური დაწესებულება (ე.წ. მატროსოვი), რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის იყო განკუთვნილი
- ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ შეიქმნა ახალი N10 პენიტენციური დაწესებულება
- იგეგმება რამდენიმე ახალი, მცირე ზომის (600-700 მსჯავრდებულზე გათვლილი) დახურული ტიპის, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა
- დაბა ქსანში, არსებული პენიტენციური დაწესებულებების მიმდებარედ, დაგეგმილია №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილებისათვის სრულიად ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა
- მსჯავრდებულთა დასაქმების პროგრამები

# საჯარო სერვისების მიწოდება

- სერვისების განვითარების სააგენტო
  - საარჩევნო სიის სრულყოფა
  - სამოქალაქო აქტების გაციფრულება - 2020 წელს 639 676 აქტის გაციფრულება
  - მისამართების დაზუსტება - ქვეყნის 55 დასახლების 461.603 მისამართი და 2 962 893 პირის შესახებ ჩანაწერი
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
  - მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება
  - მიწის სისტემური რეგისტრაცია
  - დედაქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების აღწერა
  - 2020 წლის 1 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა საჯარო რეესტრის ახალი სათაო ოფისი



# საჯარო სერვისების მიწოდება

- იუსტიციის სახლები და საზოგადოებრივი ცენტრები
  - შემოდგომაზე გაიხსნა ქარელის იუსტიციის სახლი;
  - დასასრულს უახლოვდება გარდაბნისა და წყალტუბოს იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოები;
  - გაიხსნა 11 საზოგადოებრივი ცენტრი (ასპინძის, აბაშის, ბაღდათის, დედოფლისწყაროს, ვანის, ნინოწმინდის, ჩოხატაურის, ქიათურის, ქრებალოს, ხობის და ხარაგაულის);
  - მიმდინარეობს ტენდერები სამტრედიისა და ხაშურის იუსტიციის სახლების მშენებლობის მიზნით;
  - ზესტაფონის, ახმეტისა და თერჯოლის იუსტიციის სახლების მშენებლობის მიზნით, დასრულდა საპროექტო სამუშაოები



# სსიპ-ების საქმიანობა

- საკანონმდებლო მაცნე
  - კანონების აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი თარგმანები
  - კანონების საკვანძო მუხლებზე საერთაშორისო სამართლის წყაროების მითითება
- ეროვნული არქივი
  - საარქივო ცნობების ონლაინ გაცემა და დოკუმენტების ციფრულ ფორმატზე გადატანა
  - მხატვრული ფილმებისა და დოკუმენტების რესტავრაცია
  - სამცხე ჯავახეთის რეგიონული არქივის რესტავრაცია
- იუსტიციის სასწავლო ცენტრი
  - ტრენინგები სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის
  - ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის
  - ფართო საზოგადოებისათვის უფასო სასწავლო პროგრამები და ტრენინგები

# სსიპ-ების საქმიანობა

- აღსრულების ეროვნული ბიურო
  - მსხვილ საბანკო დაწესებულებებთან ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სერვისი
  - ელექტრონულად ხორციელდება მოვალის შესახებ ინფორმაციის მოძიება
  - 2020 წელს დასრულდა აღსრულების ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობა
- ნოტარიუსთა პალატა
  - აპლიკაციის შემუშავება, რომელიც სრულად ჩაანაცვლებს პროგრამა Skype-ს
  - ნოტარიუსთა პალატის არქივის ელექტრონული რეესტრის დახვეწა
- ციფრული მმართველობის სააგენტო
  - my.gov.ge 700-მდე ელექტრონული სერვისი და 220 000-მდე მომხმარებელი
  - ელექტრონული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი ყოველ წელს იზრდება:

  2018 წელი - 154 000, 2019 წელი - 305 000, 2020 წლის ნოემბრისათვის - 400 000მდე

# COVID19-თან ბრძოლა სამინისტროს სისტემაში

- დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლა
- მაცნეს ვებგვერდზე შეიქმნა სპეციალური საქაღალდე StopCov შესაბამისი სამართლებრივი აქტებისთვის
- ამოქმედდა დაჯავშნის სისტემა იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში მომსახურების მისაღებად
- სერვისების უმრავლესობა დისტანციურადაა ხელმისაწვდომი MY.GOV.GE-ის საშუალებით
- დისტანციურ ფორმატზე ადაპტირდა სასწავლო ცენტრის პრიორიტეტული ტრენინგ მოდულები
- შეიქმნა დროებითი სანოტარო ბიუროები
- სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე საჭიროა სამინისტროს თანხმობა

# COVID19-თან ბრძოლა პენიტენციურ სისტემაში

- რეგულარულად ხდება პენიტენციური დაწესებულებების დეზინფექცია
- მოეწყო სამედიცინო საკარანტინო ზონები
- ყოველი ახალშესახლებული პატიმარი ექვემდებარება სამედიცინო სკრინინგს და ტესტირებას
- პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის მუდმივი სკრინინგი და ტესტირება
- სასამართლო სხდომებში პატიმრები დისტანციურად მონაწილეობენ

**საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში COVID-19-ის არცერთი შემთხვევა გამოვლენილა!**



მთავრობის
ანგარიში
მოქალაქეებს
2020

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

#ანგარიშიმოქალაქეებს